პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

27 ივლისი, ოთხშაბათი, 1988 წ.
№ 144 (9811) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საკავშირო უნივერსიადა-88

გამარჯვება დაბადების დღეს

მოფარიკაველთა საკავშირო ჩემპიონატებში ყველაზე დიდი კონკურენცია ხმლით ფარიკაობაშია. ამ ტურნირშიც, რომელიც უძნელეს გამოცდად ითვლება თვით მსოფლიოს ჩემპიონებისათვის, საქართველოს სპორტსმენებს არც ისე ხშირად, მაგრამ მაინც შეაქვთ კორექტივები მაღალი ადგილების განაწილებაში. უფრო ნაკლები რანგის ტურნირებში კი ისინი ხშირად ფავორიტის როლში გვევლინებიან.

სწორედ ასეთი იყო პროგნოზი საკავშირო უნივერსიადის მოფარიკაველთა შეჯიბრებისთვის, რომელიც, როგორც იცით, თბილისის „ბურევესტნიკის“ სასახლეში მიმდინარეობს. კონკრეტული ფავორიტიც შეგვიძლია დავასახელოთ: წყალტუბოელი მერაბ ბაზაძე, რომელიც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სახელით ასპარეზობს. სტუმართა გარდა მოსალოდნელ პრიზიორებად ასახელებდნენ აგრეთვე ირაკლი გვარამაძეს და აკაკი მახარაძეს.



მერაბ ბაზაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ამას წინათ დამთავრებულ საკავშირო ჩემპიონატში მერაბ ბაზაძე ფინალში მოხვდა. „ალბათ მეტიც შეეძლო, მაგრამ წინასწარ მითხრეს, რომ თუ წარმატებას მივაღწევდი, ოლიმპიურ გუნდში ჩამრიცხავდნენ და ამის გამო ავღელდი“ — თქვა მან თბილისში ჩამოსვლისას.

როგორც „ლელოს“ გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, ხმლით მოფარიკაველთა ასპარეზობის ფინალში ოთხ სტუმართან ერთად ჩვენი ოთხი წარმომადგენელიც მოხვდა. მომდევნო ეტაპი სამი მათგანისთვის იღბლიანი აღმოჩნდა. ბაზაძემ მოუგო უკრაინელ მაქსიმ ბოგოსლოვსკის — 10:8. გვარამაძემ — ვადიმ სოსინს (უზბეკეთი) — 10:8, მახარაძემ კი ლენინგრადელ არკადი კორშუნოვს სძლია — 10:5. ამრიგად, საუკეთესოთა ოთხეულში სამი ქართველი .სპორტსმენი და ცნობილი ლენინგრადელი მოფარიკაველი, ვალერი მერდინოვი დარჩნენ.

ნახევარფინალში სწორედ მერდინოვთან მოუხდა შეხვედრა ირაკლი გვარამაძეს და დამარცხებულმა დატოვა ბილიკი — 6:10. ბაზაძემ მახარაძეს სძლია — 12:1.

ამრიგად, ფინალში ბაზაძეს ვალერი მერდინოვი შეხვდა. ჩვენმა სპორტსმენმა გადამწყვეტი ორთაბრძოლაც შესანიშნავად ჩაატარა და მეტოქე დაამარცხა — 10:7. ამ გამარჯვებით მან საკავშირო უნივერსიადის ჩემპიონობა მოიპოვა. „როგორც თქვით, პროგნოზი მართლაც ისეთი იყო, რომ ობიექტურად მე უნდა მომეგო ეს ტურნირი და ასეც მოხდა. ფინალამდე იოლად მივედი, ოღონდ ამ ბოლო შეხვედრამ წამართვა ბევრი ძალა“, — გვითხრა ქართველმა სპორტსმენმა.

„უნივერსიადა-88“-ის ჩემპიონი საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონიცაა იუნიორთა შორის და სოციალისტური ქვეყნების მოფარიკაველთა დიდ ტურნირშიც მოუპოვებია გამარჯვება. მას გურამ ლორთქიფანიძე და მოსკოველი სპეციალისტი ვალერი მარუნიჩევი ავარჯიშებენ. მერაბ ბაზაძეს სწორედ გუშინწინ, უნივერსიადაში გამარჯვების დღეს, შეუსრულდა 25 წელი. მან, როგორც ხედავთ, კარგი საჩუქარი — ოქროს მედალი უძღვნა საკუთარ თავს.

მესამე ადგილისათვის ბრძოლა არ შემდგარა, ირაკლი გვარამაძე დაშავდა და ბრინჯაოს მედალი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს აკაკი მახარაძეს გადაუღოცა (მწვრთნელი გოდერძი მახარაძე).

გუშინ ჩატარდა რაპირისტ ვაჟთა გუნდური პირველობა. საქართველოს ნაკრებმა პირველი შეხვედრა დათმო ბელორუსიის გუნდთან — 5:8. ახლა მას V ადგილისათვის ბრძოლის შანსიღა დარჩა.

გიორგი პავლიაშვილი.

• • •

გუშინ თბილისში დაიწყო ქალათბურთელ ქალთა ზონალური ტურნირი „უნივერსიადა-88“-ის პროგრამით (ორი სხვა ზონალური შეჯიბრება ტარტუსა და სემიპალატინსკში ტარდება). გთავაზობთ პირველი დღის ტექნიკურ შედეგებს: ფიზკულტურის ინსტიტუტი (უკრაინა) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (მოლდავეთი) 102:45 (54:28), ფიზკულტურის ინსტიტუტი (სომხეთი) — პედინსტიტუტი (როსტოვი, რსფსრ-II) 68:65 (38:34), პოლიტექნიკური ინსტიტუტი (საქართველო) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (აზერბაიჯანი) 70:62 (41:36).

დიდი ქალათბურთი — ჩვენი სტუმარი

პროფესიონალები თბილისში — პირველი ნაცნობება

თბილისი. სპორტის სახახლე. 25 ივლისი.
სსრ კავშირი (ნაკრები) — „ატლანტა ჰოუქსი“ (აშშ) 84:85 (38:45).

სსრ კავშირი: მარჩიულიონისი (25), ტარაკანოვი (15), ვოლკოვი (14), გობოროვი (10), ხოკი (9), ტიხონენკო (3), ხომიჩუხი (3), ვეტრა (3), ბელოხტენნი (2), ვალტერსი, დარსაძე.

„ატლანტა ჰოუქსი“: ვუდი (17), ა. კარი (16), უილისი (13), რივერსი (10), კონკაკი (9), ბეტლი (8), უები (4), ტეილორი (4), ლივინგსტონი (4), ლოურენსი, ბერი.

მსაჯები: ბრიუს ალექსანდერი (აშშ), გოგი ავალიშვილი და შურმან ჭურიძე (ორივე — სსრ კავშირი).

ამერიკის პროფესიონალ კალათბურთელთა კლუბებში არის ასეთი თანამდებობა — „პრეს-ატაშე“, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით ხორციელდება ნებისმიერი კონტაქტი გუნდის წევრებთან და ხელმძღვანელებთან, პირველ რიგში კი უფროს მწვრთნელთან. მაგრამ „ატლანტა ჰოუქსის“ მთავარი მწვრთნელი მაიკლ ფრატელო თვითონ გამოდგა არაჩვეულებრივად კონტაქტური და კეთილად განწყობილი კაცი და ორი დღის განმავლობაში საბჭოთა ჟურნალისტებს უამრავი ინფორმაცია მიაწოდა საერთოდ პროფესიონალურ კალათბურთზე და კერძოდ თავის კლუბზე. ამიტომ დღეს მის სიტყვებს ხშირად გავიმეორებთ.

ჩვენს ქვეყანაში პროფესიონალური კალათბურთისადმი ინტერესი ერთობ გაიზარდა, რაც საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელის ალექსანდრე გომელსკის პირად დამსახურებად მიგვაჩნია. სწორედ მისი ინიციატივით და ნბა-ს (კალათბურთის ეროვნული ასოციაცია) ხელმძღვანელთა მხარდაჭერით, შარშან, შტატებში გაიმართა სამოყვარულო და პროფესიონალური კალათბურთის პირველი ოფიციალური შეხვედრა. „ატლანტა ჰოუქსის“ წლევანდელი სტუმრობაც ამ ინტერესის თავისებურ გაგრძელებას წარმოადგენს, რომელმაც, ცხადია, ერთიორად გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენა პროფესიონალურ კალათბურთზე.

მ. ფრატელო: „პროფესიონალი კალათბურთელის მთელი ცხოვრება, სანამ იგი მოედანზეა და მაშასადამე გუნდს სჭირდება, ერთი ტრაფარეტული სქემით მიმდინარეობს — ჯერ ნბა-ს ჩემპიონატი და შემდეგ ყველაფერი დანარჩენი“.

ნბა სავსებით დამოუკიდებელი ორგანიზაციაა კალათბურთში, რომელსაც აქვს თავისი კანონები, წესები, თავისი [illegible] ტურნირ და თუ გნებავთ, თავისი ბელიტიკა. ნბა-ს არა აქვს არავითარი კონტაქტი კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციასთან (ფიბა) და თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს, ატარებს მრავალსაფეხურიან შეჯიბრებას და გამარჯვებულ გუნდს ანიჭებს მსოფლიო ჩემპიონის სახელს — მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალთა შორის.

„ატლანტა ჰოუქსი“ ნბა-ს საუკეთესო გუნდი არ გახლავთ, მაგრამ მის ერთ-ერთ უძლიერეს წევრად ითვლება. საბჭოთა კალათბურთის ხელმძღვანელთა არჩევანი ამ მხრივაც გამართლებული იყო. მაგრამ არის ერთი ნიუანსი, რის გამოც „ატლანტა ჰოუქსი“ თავის საუკეთესო ფორმაში ჩვენ ვერ ვიხილეთ.

მ. ფრატელო: „ეროვნული ჩემპიონატის პერიოდში ნებისმიერი საგარეო კონტაქტი ჩვენთვის დაუშვებელია. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ კი უკვე შეიძლება ჩვეულებრივ ცხოვრებაზე ფიქრი“.

„ატლანტა ჰოუქსი“ თბილისში არასრული შემადგენლობით ჩამოვიდა და მხოლოდ აქ, ჩვენს ქალაქში დაიწყო ნელ-ნელა შევსება. თამაშის წინა დღეს გუნდს შეუერთდნენ კევინ უილისი და ჯონ კო-

იხ. მე-3 გვ.



საბჭოთა კავშირის ვაჟთა 55-ე ჩემპიონატი ჰადრაკში

უძლიერესი შემადგენლობით

ასეთი ძლიერი შემადგენლობა დიდი ხანია არ შეკრებილა საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატებში. თავად განსაჯეთ, წლეულს, 55-ე ჩემპიონატში მონაწილეობენ პლანეტის უძლიერესი დიდოსტატები, მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი და მსოფლიოს ექსჩემპიონები ვასილი სმისლოვი, მიხეილ ტალი, ანატოლი კარპოვი, სხვა ცნობილი საბჭოთა მოჭადრაკეები.

25 ივლისს მოსკოვში საერთაშორისო სავაჭრო ცენტრში მოეწყო ჩემპიონატის წილისყრა. მანამდე კი მცირე ინფორმაციით გამოვიდა ტურნირის მთავარი მსაჯი, მსოფლიოს ექსჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი.

წილისყრის შედეგად მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. მიხეილ ტალი, 2. არტურ იუსუპოვი, 3. ვასილი ივანჩუკი, 4. მიხეილ გურევიჩი, 5. ანდრეი სოკოლოვი, 6. ვიქტორ გავრიკოვი, 7. ვასილი სმისლოვი, 8. ანატოლი კარპოვი, 9. ვლადიმერ მალანიუკი, 10. იან ელვესტი, 11. ანდრეი ხარიტონოვი, 12. ალექსანდრე ბელიავსკი, 13. ილია სმირინი, 14. ლეონიდ იუდასინი, 15. ვალერი სალოვი, 16. ალექსანდრე ხალიფმანი, 17. გარი კასპაროვი, 18. რაფაელ ვაჰანიანი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

გაიმართა რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის XIX ტურის შეხვედრები. ქვეყნის ჩემპიონმა, ქუთაისის „მშენებელმა“ ლენინგრადში დაამარცხა ადგილობრივი „ელექტრონმაში“ — 12:7. თბილისის „ელმავალმა“ კრასნოიარსკში წააგო შეხვედრა „ექსკავატორტიაჟსტროისთან“ — 6:19 (6:7). სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ფილი“ — ასკ 6:12, „ლოკომოტივი“ — „ზვეზდა“ 23:12, „სლავა“ — „ავიატორი“ 14:0, სსა — „ტირასპოლი“ 31:9.

ჩათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 27 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.	
„მშენებელი“	19	16	1	2	52	(—5)
სსა (მონ.)	19	16	0	3	51	(— 6)
„სლავა“ (მ.)	19	14	0	5	47	(—10)
„ლოკ.“ (მ.)	19	12	2	5	45	(—12)
„ავიატ.“ (კ.)	19	12	0	7	43	(—14)
ეტს (კრასნ.)	19	11	2	6	43	(—14)
ასკ (ა.-ა.)	19	9	4	6	41	(—16)
„ელმავალი“	19	7	1	11	34	(—23)
„ელ.“ (ტირ.)	19	2	3	14	26	(—31)
„ზვ.“ (ტაშ.)	19	3	0	16	25	(—32)
„ფილი“ (მ.)	18	2	1	15	23	(—31)
„ელ.“ (ლენ.)	18	1	2	15	22	(—32)

ამრიგად, პირველი ეტაპის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე, გამოვლინდა ის რვა გუნდი, რომლებიც ჩემპიონატის მეორე ეტაპზე იასპარეზებენ. მორიგ, XX ტურში „მშენებელი“ ეწვევა ტირასპოლს, „ელმავალი“ უმასპინძლებს კიევის „ავიატორს“. ეს თამაშები გაიმართება 28 და 29 ივლისს.

თურქეთიდან — ტრიუმფით

სამი „ოქრო“, ერთი „ვერცხლი“

ტრიუმფით ბრუნდებიან თურქეთიდან საქართველოს ნორჩი ფალავნები, სადაც გაიმართა ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. სამი მათგანი უძლიერესი გახდა, ხოლო ერთმა მეორე ადგილი დაიკავა. ასეთი წარმატება, თუ არ ვცდებით, ამ რანგის ტურნირში ჯერ არ მოგვიპოვებია. თანატოლთა შორის კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ გორელი ზაზა ზოზიროვი (55 კგ, პროფკავშირები), ქუთაისელი კახა ლევიძე (60 კგ, პროფკავშირები) და თბილისელი დავით ხაბელაშვილი (70 კგ, „შრომითი რეზერვები“). ვერცხლის მედალი მოიპოვა თბილისელმა ზვიად ლოლუამ (მძიმე წონა, „დინამო“).

ნაბიჯი სეულისაკენ

თუ სპორტის ზოგიერთ სახეობაში ან ცალკე დისციპლინაში დადგინდა საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრთა ვინაობა, ფარიკაობაში ჯერ ბევრი რამ არ გარკვეულა. ოლიმპიადის შესარჩევი ეტაპის ერთ-ერთი ასპარეზობა იყო დინამოელ მოფარიკაველთა ღია საკავშირო პირველობა, რომელშიც ქვეყნის ყველა უძლიერესი მუშკეტერი ასპარეზობდა.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვლადიმერ აფციაურმა ბოლოს და ბოლოს გატეხა ნავსი და ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ კვლავ დაიკავა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური. იგი უძლიერესი იყო რაპირით მოფარიკაველთა შორის. ამით ქართველმა მოფარიკაველმ მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიცია ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში.

მესამე ტრადიციული

მიუხედავად იმისა, რომ ლიტვისა და საქართველოს მოკრივეთა ამხანაგურ სამატჩო შეხვედრებს არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს (სულ 3-ჯერ ჩატარდა) და, ამდენად, ამ შეჯიბრებას პირობითად თუ ვუწოდებთ ტრადიციულს, ორთაბრძოლებისადმი ინტერესი ძალზე დიდია. და აქაც ისევ ტრადიცია ამბობს თავის სიტყვას — წარსულში ხომ ამ რესპუბლიკებში ტყავის ხელთათმანის არაერთი ოსტატი აღზრდილა. ჯერ მარტო ევროპის პირველი საბჭოთა ჩემპიონი ალგირდს შოციკასი რად ღირს, რომლის „ნაკვალევს გაჰყვა“ კონტინენტის ქართველი ჩემპიონი დავით კვაჭაძე...

მეტოქეთა მესამე შეხვედრა თბილისის ს. კიროვის სახელობის პარკში, პროფკავშირთა დარბაზში გაიმართა.

...ჯერ კიდევ ასპარეზობის დაწყების მაუწყებელი გონგის ხმამდე მასპინძლები დაწინაურდნენ. საქმე ის იყო, რომ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ რუდიკ კაზანჯიანს (48 კგ), ოსტატობის კანდიდატ გია დვალსა (51) და სპორტის ოსტატ ივან აბრამიანს (54) მეტოქე არ ჰყავდათ და მათ გამარჯვების ქულები შესძინეს გუნდს. ამით სტუმრების ავტორიტეტი რამდენადმე შეირყა. მწირი არჩევანი ჰქონიათო, ფიქრობდნენ მათზე გულშემატკივრები, მაგრამ შეცდნენ— ის, ვინც რინგზე გამოვიდა, საკმაოდ კარგად იყო მომზადებული. ეს ნათელი გახდა პირველი წყვილის შეხვედრაშივე, სადაც რამულის გულბისმა (57) მედგარი წინააღმდეგობა გაუწია სპორტის ოსტატ გიორგი ძაგანიას. მასპინძელმა მესამე რაუნდში რამდენიმე ზუსტი დარტყმით აჯობა მეტოქეს და გაიმარჯვა. მომდევნო შეხვედრაში სერგეი კასპერი, რომელმაც კარგად იცოდა გამოცდილი იური სავოჩკინის ძალა და ოსტატობა, თავდადგე ფრთხილობდა, მაგრამ მეორე რაუნდში მაინც ვერ გაუძლო მასპინძლის ძლიერ დარტყმას და ძირს დაეშვა. შემდეგ კი ბრძოლა შეწყდა სავოჩკინის აშკარა უპირატესობის გამო.

ამის შემდეგ სტუმრებმა ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვეს. ჯერ ვლადიმერ ალეშაუსკასმა (მსუბუქი წონა, 60 კგ) შორი მანძილიდან დარტყმებზე ააგო ბრძოლა და სძლია ნუკრი ჯაჭვაძეს, შემდეგ ალექსანდრას ნოსოვასმა (63,5) და ლეონიდ მალეცკიმ (67) შესაბამისად დაამარცხეს კახა სამხარაძე და კახა შალამბერიძე. პირისპირ შეხვედრაში დაწინაურდნენ ლიტველი მოკრივეები, მაგრამ პირველი საშუალო წონის სპორტსმენმა, თბილისელმა არმიელმა ბესიკ გურჯიამ სულ მალე აიძულა დინარას უშკურაიტისის სეკუნდანტი. რომ კაპიტულაციის ნიშნად რინგზე პირსახოცი გადმოეგდო. ამის მერე მეტოქეებმა თითო ბრძოლა მოიგეს — პაატა კუტალიამ (მეორე საშუალო წონა) ეილვინას ვირშპასთან, ხოლო რობერტას მაზილაუსკასმა (ქვემძიმე წონა) — ზურაბ ტოსტიაშვილთან.

მატჩის საბოლოო ანგარიშია 16:12 მასპინძელთა სასარგებლოდ.

ბ. უნგიაძე.

სანამ დრო ითმენს...

გათუმის ახალგახსნილ ბავშვთა საკადრაკო კლუბს პირველი სტუმრები ეწვივნენ — საქართველოს მოჭადრაკე გოგონათა და ჭაბუკთა პირადი პირველობის მონაწილენი (1976 და შემდეგ წლებში დაბადებულნი). აქვე ვიტყვი, ქალაქის ხელმძღვანელობასა და სპორტის მესვეურებს განზრახული აქვთ კლუბი ფართო საკადრაკო კომპლექსად აქციონ, სადაც ყველა პირობა იქნება როგორც დიდი შეჯიბრებების ჩასატარებლად, ისე ქალაქში არსებული ჯგუფების კონცენტრირებისა და მათი ნორმალური მუშაობისთვის. შეჯიბრებები შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ჩატარდა. გოგონებში (68 მონაწილე) აშკარა ფავორიტი ბათუმელი მეხუთეკლასელი დიანა დარჩია იყო, რომელმაც სტარტზე ზედიზედ 6 პარტია მოიგო, მაგრამ დიანამ დაიკვეწა, რომ ბრძოლა საჭიროა ყველა პარტიაში, ტურნირის ბოლომდე. ყურადღების მოდუნება და ფინიშზე ორი უბრძოლველი ყაიმი მას ჩემპიონობის დაკარგვის ფასად დაუჯდა. მომავალში ნიჭიერი გოგონასთვის ეს საგულისხმო გაკვეთილად უნდა იქცეს. მეტოქის ზედმეტი თვითდაჯერებულობით კარგად ისარგებლა 8 წლის ქუთაისელმა სოფიკო ტყეშელაშვილმა (მწვრთნელი ეკატერინე ფანიროვა), რომელმაც შესაშური საბრძოლო თვისებები გამოავლინა და ბოლო ტურებში მიღწეული გამარჯვებებით დაეწია დარჩიას. საბოლოოდ ორივემ 9,5-9,5 ქულა მოაგროვა. კოეფიციენტის უკეთესი მაჩვენებლით ჩემპიონის წოდება სოფიკო ტყეშელაშვილმა მოიპოვა. უდავოა, რომ ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის მესამეკლასელი მოსწავლის სახით კიდევ ერთი ნიჭიერი გოგონა გვეზრდება.

III ადგილი თბილისელ თამარ ფაჩულიას ხვდა.

მძაფრი ბრძოლებით წარიმართა ჭაბუკთა შეჯიბრება (88 მონაწილე). სხვებთან შედარებით მეტი შემართება და გამარჯვებისადმი სწრაფვა გამოავლინა თბილისის 98-ე სკოლის მე-6 კლასელმა სერგან შავერდიანმა (მწვრთნელი — რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი გიორგი კაზარიანი), რომელმაც ბოლო ტურში გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა, 9 ქულა მოაგროვა და მიუწვდომელი გახდა მეტოქეთათვის. 8,5-8,5 ქულით II-III ადგილები გაიყვეს ჩოხატაურელმა გიორგი ჩანტლაძემ და თბილისელმა ვიქტორ დუნდუამ.

როგორც ცნობილია, 22 აგვისტოს კულდიგაში (ლატვია) იწყება სახალხო განათლების სისტემის სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო გუნდური პირველობა. იმას, თუ ჩვენი რესპუბლიკიდან ვინ გაემგზავრება ამ მეტად მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე, გაარკვევს საქართველოს მოსწავლე-მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის კანდიდატთა (1974-75 და 1976-77 წლებში დაბადებულნი) სასწავლო-საწვრთნელი შეკრება და საკონტროლო შეხვედრები, რომლებიც ივლის-აგვისტოში გაიმართება ბაკურიანში.

რაც შეეხება მოსწავლე-მოჭადრაკეთა მომზადების საერთო დონეს (ძირითადად ჭაბუკები მყავს მხედველობაში), ჩემი და შეჯიბრებაზე დამსწრე სხვა სპეციალისტთა აზრით, აშკარად დაბალია და სრულიადაც ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს. ამის შესახებ ბევრჯერ ითქვა და დაიწერა კიდეც, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა. დაგროვდა უამრავი პრობლემა, რომელიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს. ვფიქრობ, აუცილებელია შეიქმნას საქართველოს სახალხო განათლების სპორტული სამმართველოსა და საქართველოს სპორტსახკომის ერთობლივი სამოქმედო პროგრამადებულება, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვთა შორის საკადრაკო მოძრაობის წინსვლასა და შემდგომ აღმავლობას. ეს რაც-შეიძლება მალე უნდა გაკეთდეს, სანამ ჯერ კიდევ ითმენს დრო...

სულიკო მეგრელიშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

მოკლედ

ტყიბული. ჩატარდა მოსწავლეთა ოცდამესამე საქალაქო სპარტაკიადა, რომელშიც ქალაქის შვიდივე საშუალო სკოლის გუნდი მონაწილეობდა.

გაიმარჯვა მე-3 საშუალო სკოლის (დირექტორი თ. ნოვიკოვა, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. ჯორძაია) გუნდმა. მეორე იყო მე-5, ხოლო მესამე — მე-6 საშუალო სკოლის გუნდი.

ელგარდი ბაძრაძე.
„ლელოს“ კორ.

მედიცინა სპორტის სამსახურში

მენისკის დაავადება სპორტსმენთა უბოროტესი მტერია. ვინ იცის, რამდენ ცნობილ ათლეტს დროზე ადრე მიუტოვებია სპორტი მენისკის ტრავმის მიღებისა და ძნელი, ზოგჯერ უნაყოფო მკურნალობის შემდეგ. დღეს გთავაზობთ მენისკის მკურნალობის მეთოდს, რომელსაც თავისი მრავალწლიანი პრაქტიკის მანძილზე მიმართავდა წერილის ავტორი.

შემონმებულია პრაქტიკით

მუხლის სახსრის მენისკის დაზიანება უმთავრესად სპორტსმენებში გვხვდება. სტატისტიკური მონაცემებით ასეთი დაზიანების ყველაზე მეტი პროცენტი ფეხბურთელებზე მოდის, შემდეგ — ტანმოვარჯიშეებსა და მოთხილამურეებზე.

მენისკის ფუნქცია გამოიხატება შემდეგში: იგი ავსებს ბარძაყისა და დიდი წვივის ძვლებს შორის არსებულ სივრცეს. დატვირთვა თანაბრად ნაწილდება სახსრის მთელ ფართობზე. მოძრაობის დროს იგი თავისი სიმკვრივით იცავს სახსარს ყოველგვარი ბიძგებისა და შერხევებისაგან, ამრგვალებს სახსრის ზედაპირს და მოძრაობის დროს იცავს მას კაფსულის ჩაჭედვისაგან.

სპორტსმენებისთვის ტიპიურ მოძრაობას წარმოადგენს ტერფის ფიქსირებულ მდგომარეობიდან წვივის ბრუნი (როტაცია) გარეთ მედიალური მენისკისათვის, ხოლო შიგნით — ლატერალურ გარეთა მენისკისათვის. საერთაშორისო სტატისტიკის მონაცემებით, შიგნითა ანუ მედიალური მენისკი უფრო ხშირად ზიანდება (84,6%), ვიდრე გარეთა (15,4%).

მენისკების დაჟეჟილობის, ანუ მწვავე მენისციტების დროს ძნელია დიაგნოზის დასმა, რადგან დაზიანების შემდეგ სახსარი სივდება და მოხრის დროს კვირისთავის არეში ტკივილს იწვევს. თუ ავადმყოფი ამ დროს ფეხს თავისუფლად წევს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ სახსარში დაზიანება არ არის. ამიტომ სანამ სახსარს შევეხებოდეთ, უნდა დავადგინოთ ტრავმის მექანიზმი, რაც დაგვეხმარება დიაგნოზის სწორად დასმასა და მკურნალობაში.

ტრავმული ართრიტის კლინიკური ნიშანია ტკივილი მუხლის სახსარში მისი ფუნქციის მოშლით. სახსარში ჩაღვრილი სისხლი აღიზიანებს სინოვიალურ გარსს, იწყება სითხის გამოყოფა, რომელიც ერევა სისხლს და იწვევს მუხლის შესიებას. სითხის დაგროვება იწვევს აგრეთვე სასახსრე ჩანთის დაჭიმვას, რომელიც მდიდარია ნერვული ქსელით. ტრავმიდან 1,5-2 საათის შემდეგ ავადმყოფი უკვე ფეხს ვეღარ ადგამს. ტრავმის მიღებისთანავე მას უწევენ პირველ დახმარებას და გადაჰყავთ კონსერვატიულ მკურნალობაზე.

დაახლოებით 1-2 დღის შემდეგ ლანგეტის მოუხსნელად ავადმყოფი იწყებს ფეხის თითებისა და კოჭ-წვივის სახსრის დამუშავებას. ამასთანავე მას უნდა ვურჩიოთ, ხშირად დაჭიმოს ოთხთავა კუნთი. წინასწარ ასეთი ვარჯიშების ჩატარება აუცილებელია დაზიანებული კიდურის კუნთების ატროფიის (განლევის) პროფილაქტიკის მიზნით.

დაზიანებიდან 5-8 დღის შემდეგ ყველა ავადმყოფს (სახსარშიგა დაზიანება) სხვა ფიზიკური მეთოდებით მკურნალობასთან ერთად ენიშნება ბარძაყისა და წვივის კუნთების მასაჟიც.

კონსერვატიული მკურნალობისა და ოპერაციის შემდგომ პერიოდში ავადმყოფი დახმარებისთვის მიმართავს პოლიკლინიკას. დაავადების ხანგრძლივად მიმდინარეობა და ნაკლები მოძრაობა იწვევს ორთავა და წვივის კუნთების ატროფიას საყრდენი ფუნქციის მოშლით. ავადმყოფობის მეორადი მოვლენები სახსარშიც ვითარდება ქრონიკული სინოტივის სახით. მუხლის სახსარში ხანგრძლივად მიმდინარე პროცესებს ხშირად თან ერთვის სახსრის ართროზის მოვლენები.

მრავალი წლის მეცნიერულმა და პრაქტიკულმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ სამკურნალო ტანვარჯიში თბილ მინერალურ წყალში სახსართა სხვადასხვა წარმოშობის დაზიანების ან დაავადების დროს (გარდა სპეციფიკურისა) მეტად ეფექტურია. მისი მოქმედების მექანიზმი გამოიხატება შემდეგში: ცნობილია, რომ მინერალური წყლით მკურნალობისას ადამიანის ორგანიზმზე მოქმედებს გამღიზიანებლის რთული კომპლექსი: წყლის მექანიკური გავლენა, წყლის ტემპერატურა, წყლის ქიმიური შედგენილობა.

წყლის მექანიკური გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ბაშინ, როდესაც ავადმყოფი უჩივის საერთო სისუსტეს, ტკივილს დაზიანებულ კიდურში და მოძრაობის შეზღუდვას. წყალში ტანისა და კიდურების სიმძიმის შემცირების შედეგად ავადმყოფი მცირე ენერგიის დახარჯვით ასრულებს ისეთ ვარჯიშებს, რომელთა შესრულება მას წყლის გარეთ არ შეუძლია.

მეორე დიდი ფაქტორი — წყლის სითბო — ხელს უწყობს ტკივილების დაამბას, კუნთებში რეფლექტორული აგზნებადობისა და სპასტიური მოვლენების დაქვეითებას, სისხლის მიმოქცევის გააქტიურებას.

ორგანიზმზე წყლის ქიმიური ფაქტორის ზემოქმედება ხორციელდება პერიფერიული ნეოვეული დაბოლოებებიან გაღიზიანებით და წყალში გახსნილი ზოგიერთი სახის ქიმიური ნივთიერების კანის საშუალებით შეწოვით.

ცნობილია, რომ კუნთი მოდუნების დროს იზიდავს არტერიულ სისხლს, ხოლო შეკუმშვის დროს განდევნის ვენურ სისხლს. თბილ მინერალურ წყალში ფიზიკურ ვარჯიშთა გამოყენებით აქტიურდება სისხლისა და ლიმფის მიმოქცევა, იზრდება ცირკულაციაში მყოფი სისხლის რაოდენობა. ფიზიკურ ვარჯიშთა დოზირებულად გამოყენებით იზრდება მოძრაობის ამპლიტუდა, მაგრდება კუნთები, იმატებს მათი პოტენციური ენერგია და სხვა.

როგორც ვხედავთ, ამ ორი დიდი ფაქტორის (მინერალური წყალი და ფიზიკური ვარჯიში) ერთობლივი მოქმედების მექანიზმი მეტად რთული და მრავალფეროვანია, ერთი აძლიერებს მეორის მოქმედებას, რითაც უნდა აიხსნას ამ ფაქტორთა კომპლექსურად გამოყენების მაღალი ეფექტურობა. განსაკუთრებით სახსართა დაზიანებისა და დაავადებების დროს.

ქვემოთ მოგვყავს სამკურნალო ტანვარჯიში თბილ მინერალურ წყალში მუხლის სახსრის მენისკების ტრავმული დაზიანების დროს მკურნალობის შუა პერიოდისათვის (მკურნალობის საწყისი ეტაპის დროს ისინი სრულდება მცირე მოცულობით).

ვარჯიში. 1. საწყისი მდგომარეობა — ჩამოჯდომა აბაზანაში დადგმულ გრძივ მერხზე ხელების დაყრდნობით მერხის კიდეზე; ფეხები ერთად — გამართულ მდგომარეობაში; ორივე ტერფის ერთად მოხრა და გაშლა, საშუალო ტემპით, 10-12-ჯერ.

2. ს. მ. იგივე. ხელები განზიდულია წინ ხელის გულებით ქვემოთ; ორივე ხელის გვერდით გაშლა ხელის გულებით ზემოთ — შესუნთქვა. საწყის მდგომარეობაზე დაბრუნება — ამოსუნთქვა, ტემპი ნელი, 3-4-ჯერ.

3. ს. მ. იგივეა, ე. ი. ჩამოჯდომა მერხზე და ხელების მერხის კიდეზე დაყრდნობა; გამართული დაზიანებული კიდურის ზემოთ აწევა და დაშვება ტერფის წინ მოხრით, ტემპი — ჯერ ნელი, შემდეგ საშუალო, 6-8-ჯერ.

4. ს. მ. დაჯდომა მერხზე; გამართული ფეხების ცალ-ცალკე თანმიმდევრულად წინ მოხრილი ტერფით აწევა და დაშვება, ნელი და საშუალო ტემპით, თითოეული ფეხით 6-8-ჯერ.

5. ს. მ. მუცელზე წოლილა ხელების მერხზე დაყრდნობით. ფეხები გამართულია; გამართული ფეხის აწევა და ძირს დაშვება (რიგრიგობით). ტემპი — ნელი და საშუალო. თითოეული ფეხით — 6-8-ჯერ.

6. ს. მ. მერხზე დაჯდომა ხელების დაყრდნობით მერხის კიდეზე. დაზიანებული კიდურის ბრტყელი შიგნით და გარეთ, ტემპი — ნელი და საშუალო, 6-10-ჯერ.

7. ს. მ. იგივე — ორმაგი, გამართული, დაჯვარედინებული ხელის თითები ამოდებულია დაზიანებული მუხლის ქვეშ (ისე, რომ ხელი არ შეუშალოს მუხლის სახსარში თავისუფალ მოძრაობებს). ფეხების ქანქარასებური მოძრაობები წინ და უკან საშუალო ტემპით; 10-12-ჯერ თითო ფეხით.

8. ს. მ. იგივე, ხელების მუხლებზე დაყრდნობით; მუხლები მოხრილია მართი კუთხით; ტერფის გადანაცვლება ქუსლიდან ფეხის თითებისაკენ და პირიქით, თანმიმდევრობით ორივე ფეხით, ტემპი — საშუალო; 10-12-ჯერ.

9. ს. მ. დგომი ხელების ხარიხაზე (აუზის კიდის გრძივი ძელი) დაყრდნობით, ფეხები ერთად; ორივე ფეხის წვერებზე აწევა და მთელ ტერფზე დაშვება, ასევე ქუსლების აწევა და მთელ ტერფზე დაშვება. ტემპი — საშუალო. 10-12-ჯერ.

10. ცურვა შესაძლებლობის მიხედვით (ინსტრუქტორ-მეთოდისტის კონტროლით) 3 წრე.

11. ს. მ. — დაჯდომა. ხელები მუხლებზე; მუხლის სახსრის და ოთხთავა კუნთის თვითმასაჟი; 30-40 წამი.

12. ს. მ. იგივე. დოინჯი; ერთი ხელის გვერდით განზიდვა ტანის შებრუნებით — შესუნთქვა, საწყისი მდგომარეობა — ამოსუნთქვა. იგივე — მეორე ხელით, ტემპი — ნელი, 4-5-ჯერ.

13. ს. მ. იგივე, ერთი ხელი — მკერდზე; მეორე — მუცელზე; სტატიკური სუნთქვა 30-50 წამს.

პროცედურის ხანგრძლივობა სულ 20-25 წუთია (5 წუთი აბაზანაში მოსვენებული მდგომარეობა, ვარჯიშის გარეშე), 15 წუთი — სამკურნალო ტანვარჯიში, ბოლო 5 წუთი — შესვენება წყალში მჯდომარე მდგომარეობაში, მკურნალობის კურსი სულ ითვალისწინებს 15-16 პროცედურას.

მთლიანად მენისკის სამკურნალო პროცედურები უნდა ჩატარდეს შემდეგი თანამიმდევრობით:

I. ოთხთავა კუნთის ფუნქციის აღდგენის მიზნით აფადმყოფებმა უნდა შეასრულონ ფიზიკური ვარჯიშები მჯდომარე მდგომარეობაში. პროცედურა ტარდება სამკურნალო ფიზკულტურის დარბაზში ინსტრუქტორ-მეთოდისტის ხელმძღვანელობით. პროცედურის ხანგრძლივობა — 15-20 წუთი.

II. დაზიანებული კიდურის ატროფიული კუნთების მასაჟი. ილეთებიდან იყენებენ: ხელსმას, სრესას, განივ და გასწვრივ თელვას, გორვას, წყვეტილ ვიბრაციასა და ვიბრაციულ ხელსმას. პროცედურის ხანგრძლივობა 15-16 წუთია.

III. სამკურნალო ტანვარჯიში თბილ მინერალურ წყალში —20-25 წუთის ხანგრძლივობით (რომლის ვარჯიშები ზემოთ წარმოგიდგინეთ).

IV. მექანოთერაპია, მუხლის სახსრის მოძრაობა აპარატის დახმარებით 3-5 წუთს.

და ბოლოს, ავადმყოფს ეძლევა ინდივიდუალური დავალება შინ ივარჯიშოს და იაროს მანძილის თანდათანობით გაზრდით.

ამრიგად, მუხლის სახსრის მენისკების დაზიანების დროს ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურების დროული და სისტემატური გამოყენებით ვაჩქარებთ ოთხთავა და წვივის კუნთების ატროფიული მოვლენების ლიკვიდაციას, რაც იცავს მუხლის სახსარს კონტაქტური განვითარებისაგან და ხელს უწყობს დაზიანებული კიდურის ფუნქციის აღდგენას.

შუშანა ნუცუბიძე,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი კალათბურთი — ჩვენი სტუმარი

ფოტორეპორტაჟი ყველა ენაზე ერთნაირად იკითხება











ს ურ ა თ ებ ზ ე: მწვრთნელთა ტრადიციული მატჩისწინა მისალმება: მარცხნივ — მაიკ ფრატელო (აშშ), მარჯვნივ — ალექსანდრ გომელსკი (სსრ კავშირი); შარუნას მარჩიულიონისი (№ 7) თანაგუნდელთა მორიგ შეტევას ამზადებს; საბჭოთა კავშირის ნაკრების სათადარიგო მოთამაშეთა სკამი; თბილისში სტუმრად მყოფი ამერიკელი მოსწავლეები ესალმებიან თანამემამულეებს; მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში კევინ უილისი (№ 42) და ვალერი გობოროვი (№ 12); ნბა-ს ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური (და ალბათ ტანმორჩილიც) კალათბურთელი ენტონი სპად უები (№ 4).

საქინფორმისა და ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

პროფესიონალები თბილისში — პირველი ნაცნობობა

(დასასრული)

ნკაკი, თამაშის დროს კი ენტონი სპად უები და გლენ რივერსი. მაგრამ პირველ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია გუნდის ლიდერს დომენიკ უილკინსს — პროფესიონალური კალათბურთის „ვარსკვლავთა“ სამეულის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენელს. უფროსი მწვრთნელის განცხადებით იგი შეიძლება შეუერთდეს თანაგუნდელებს ვილნიუსის მატჩში. მაშინ „ჰოუქსი“ ალბათ თავის ნამდვილ შესაძლებლობებს გამოავლენს, თუმცა...

მ. ფრატელო: „საბჭოთა კალათბურთელები ჩვენთან შედარებით უფრო ხელსაყრელ პოზიციაში იმყოფებიან. მომავალი ოლიმპიური თამაშები მათთვის კარგი გამოცდილებელიცაა და თავისებური სტიმულიც. თუმცა, გულწელდაკრეფილნი, ცხადია, არც ჩვენ ვიქნებით. „ატლანტა ჰოუქსი“ ნბა-ს პრესტიჟისთვის იბრძოლებს“.

როგორც თამაშის მსვლელობამ ცხადყო, პროფესიონალები ლიგის პრესტიჟს მართლაც უფრთხილდებიან და მატჩის დამთავრების შემდეგ კმაყოფილი და ბედნიერი იყვნენ, რომ ეს პრესტიჟი გადაარჩინეს. ყოველ შემთხვევაში, თამაშის დამთავრებამდე 19 წამით ადრე პროფესიონალთა ბედი ბეწვზე ეკიდა...

შეხვედრის პირველი ნახევარი ორიოდე სიტყვით ასე შეიძლება შევაფასოთ: მეტ-ნაკლებად თანაბარ ბრძოლაში ერთგვარ უპირატესობას პროფესიონალები მაინც ფლობდნენ. ეს ალბათ მოულოდნელი არც უნდა ყოფილიყო. ჩვენ უფრო სხვა გარემოებამ გაგვაკვირვა, სახელდობრ, იმან, რომ ფარის ქვეშ საბჭოთა კალათბურთელებს პროფესიონალებზე ნაკლებად არ უბრძოლიათ და ეს უდაო უპირატესობა სტუმრებს როგორღაც წავართვით კიდეც. ოღონდ, ცალკეულ ეპიზოდებში.

ვის გამოვყოფდით ჩვენს ნაკრებში ყველაზე მეტად? პირველ რიგში, ცხადია, მარჩიულიონისს, რომელზეც ატლანტელ პროფესიონალებს კარგა ხანია „თვალი უჭირავთ“. გამოვყოფდით, აგრეთვე, ვოლკოვს და, რაც ყველაზე მეტად სასიამოვნოა, ახალგაზრდა გობოროვს — დღეს-დღეობით ალბათ ნაკრების ყველაზე საიმედო ცენტრალურ თავდამსხმელს.

„ატლანტა ჰოუქსის“ ნამდვილი ძალა ამ დღეს მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდში ვნახეთ. ერთი-ორჯერ ტანმორჩილი უების ბრწყინვალე, თვალთ დაუნახავი გადაცემების წყალობით. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვეს ანტუან კარის, ჯონ კონკაკისა და კევინ უილისის ბრძოლამ ფარქვეშ, ჯონ ბეტლის გრძელმა დიაგონალურმა გადაცემებმა, ლიონ ვუდის ზუსტმა სამქულიანმა სროლებმა (სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა პირველ ტაიმში თავის კოლექტივს 12 ქულა შესძინა და ყველა ექვსმეტრიანი ზონიდან).

შესვენების შემდეგ პროფესიონალები 10 ქულით დაწინაურდნენ და ერთგვარად დამშვიდდნენ. ჩვენი ნაკრები კი იბრძოდა დიდი მონდომებით, თავგანწირვით და სადღაც, მატჩის მიწურულისთვის, გაათანაბრა კიდეც ანგარიში. შეხვედრის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე უკვე მასპინძლები იყვნენ წინ ოთხი ქულით.

აი, აქ ერთხელ კიდევ გამოჩნდა პროფესიონალთა ხასიათი, მათი დამოკიდებულება კალათბურთისადმი, რომელიც ბოლო წამამდე ბრძოლას გულისხმობს, ბრძოლას და უკიდურეს თავგანწირვას. წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია: მატჩის დამთავრებას აკლია 19 წამი, ანგარიში თანაბარია — 83:83. ტარაკანოვს ეძლევა ერთი საჯარიმო სროლის უფლება და საბჭოთა კავშირის ნაკრები გადის წინ — 84:83. მაიკ ფრატელო იღებს წუთშესვენებას.

19 წამი კალათბურთში დიდი დროა. 19 წამში ანგარიში სულ ცოტა, ორჯერ მაინც შეიძლება შეიცვალოს. პროფესიონალები მშვიდად თათბირობენ, იღებენ რაღაც გადაწყვეტილებას და... ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას ზუსტად 14 წამი დასჭირდა. რამდენიმე ელვისებური ჯანი და ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი გლენ რივერსი წარმატებით აგვირგვინებს ორქულიან სროლას.

დარჩა 5 წამი. ეს ცხადია უფრო მცირე დროა. ოუმცა, სასწაული აქაც შეიძლება მოხდეს. ყველას კარგად გვახსოვს 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ფინალი საბჭოთა და ამერიკელ კალათბურთელთა შორის. მაშინ მიუნხენში უფრო ცოტა დრო იყო დარჩენილი — სულ 3 წამი, მაგრამ ამ სამი წამის განმავლობაში ედეშკომ ზუსტი პასით მთელს მოედანზე ფარქვეზ გაიყვანა ალექსანდრე ბელოვი, რომლის გადამწყვეტმა სროლამ საბჭოთა ნაკრებს ოლიმპიური ოქროს მედლები მოუტანა.

ახლა 5 წამია დარჩენილი, უფრო მეტი, ვიდრე მაშინ მიუნხენში. მაგრამ ჩვენი მეტოქეც სხვა არის; რომელსაც რაღაც უსათუოდ ექნება მომზადებული მსგავსი შემთხვევისთვის (პროფესიონალი აბა რისი პროფესიონალია). და მართლაც, როგორც კი ბურთი თამაშში შევიდა, მას უმალ ამერიკელები დაეუფლნენ და... დროც ამოიწურა.

საინტერესოა, გამოიყენებდა თუ არა „ატლანტა ჰოუქსი“ ამ ეპიზოდს თავის სასარგებლოდ?

ნოდარ გუგუშვილი.

ტურნირი ლიპეცკში

ლიპეცკი (დეპეშით, ჩვენი სპეცკორ.). აქ დაიწყო სტუდენტთა 1988 წლის საკავშირო ნახევარფინალური შეხვედრები ფეხბურთში. აქაურ ჯგუფში გამოდიან რსფსრ-ს, უკრაინის, სომხეთის, მოლდავეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გუნდები. საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ფეხბურთელები პირველ ტურში შეხვდნენ რსფსრ-ის გუნდს. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა საქართველოს ფეხბურთელთა გამარჯვებით — 3:2, უკრაინისა და აზერბაიჯანის გუნდების შეხვედრაში გამარჯვება წილად ხვდათ უკრაინელებს — 1:0, სომხეთისა და მოლდავეთის გუნდების მატჩში წარმატებას მიაღწია სომხეთის ნაკრებმა — 3:2.

საქართველოს ფეხბურთელებს შემდგომი შეხვედრა აზერბაიჯანის ნაკრებთან აქვთ.

„ლელოს“ კორ.

„ტყავის ბურთის“ პრიზზე

ქუთაისში დამთავრდა 1975-76 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა რესპუბლიკური პირველობა „ტყავის ბურთის“ პრიზზე.

ფინალურ მატჩში ადგილობრივი ნორჩი ფეხბურთელები გარდაბნელ თანატოლებს შეხვდნენ. საინტერესო ორთაბრძოლის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — ფრე 1:1. 11-მეტრიანი დარტყმების სერია უფრო ზუსტად გარდაბნელებმა შეასრულეს და გამარჯვეს ანგარიშით 5:4. ამით „ტყავის ბურთის“ უმცროს ასაკში გამარჯვებული გუნდის ვინაობაც გაირკვა.

შეგახსენებთ „ტყავის ბურთის“ წლევანდელ გათამაშებაში გამარჯვებულ გუნდებს, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის სახელს დაიცავენ საკავშირო გათამაშებაში. უფროს ასაკში (1971-72 წლები) გაიმარჯვა წულუკიძის გუნდმა, საშუალო ასაკში (1973-74 წლებში დაბადებულნი) წარმატება საჩხერელ ფეხბურთელებს ხვდათ წილად, უმცროს ასაკში კი (1975-76 წლები), როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გარდაბნელმა ნორჩმა ფეხბურთელებმა იმარჯვეს.

თუ რომელ ქალაქებში მოუწევთ ასპარეზობა ჩვენს ფეხბურთელებს „ტყავის ბურთის“ საკავშირო გათამაშებაში, დამატებით შეგატყობინებთ.

საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის XXI ტურის შეხვედრები.

I ჯგუფი

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:2. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლები: ჩინჩალაძე-2 („საპოვნელა“), ქველაძე, სევასტოპულო („მაღაროელი“).

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „სულორი“ (ვანი) 1:2. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი). გოლები: ვ. ჯიოევი („სპარტაკი“), ორმოცაძე, ვერულაშვილი („სულორი“).

„ივერია“ (ხაშური) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:1. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი). გოლები: ოსაძე („ივერია“), შეროზია („დინამო“).

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:2. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი). გოლები: თედეშვილი, ჩორგოლიანი („ბახტრიონი“), მ. რეხვიაშვილი, ო. რეხვიაშვილი („მადნეული“).

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ხვური“ (წალენჯიხა) 2:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი). გოლები: ბენდელიანი, ქვილითაია („სამეგრელო“).

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი). გოლები: ლაბაძე, კიკნაძე („მეტალურგი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ვ. ოდიშარია („სალხინო“).

„მეშახტე“ (ტყიბული) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:1. მსაჯი ე. ხილაგავა (თბილისი). გოლები: ნატროშვილი („მეშახტე“), ბაღუშვილი („ეგრისი“).

„არმაზი“ (მცხეთა) — „დინამო“ (გაგრა) 2:2. მსაჯი მ. მაღლაფერიძე (ქუთაისი). გოლები: ხუციურაული, ჯაბნიაშვილი („არმაზი“), კვარაცხელია-2 („დინამო“).

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:1. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი). გოლები: ჭეჭელაშვილი („ქართლი“), ჩიმაკაძე („კოლხეთი“).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 2:2. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი). გოლები: როსტობაია-2 („ამირანი“), გვაძაბია, ონიანი („შადრევანი“).

XXI ტურის შემდეგ 17-17 ბურთი აქვთ გატანილი ნ. კიკნაძეს („მეტალურგი“, ზესტაფონი) და ა. სევასტოპულოს („მაღაროელი“, ჭიათურა).

მსაჯთა რეიტინგი

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სულორი“ (ვანი). **მ. კობიაშვილი, გ. თხელიძე, თ. სპანდერაშვილი** (თბილისი). „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „დინამო“ (ზუგდიდი). **თ. ლაცაბიძე, ბ. თოფურია, ო. გუნთაძე** (თბილისი). „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ეგრისი“ (ცხაკაია). **თ. კურტანიძე, ა. კოკაია, ზ. ცინცაძე** (თბილისი). „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე). **თ. ვერულაშვილი, თ. სადილიანი, ი. კანდელაკი** (თბილისი). „დურუჯი“ (ყვარელი) — „სქური“ (წალენჯიხა). **რ. ტალიაშვილი, ტ. ნიშნიანიძე** (თბილისი), **ა. წერეთელი** (რუსთავი). „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „სალხინო“ (გეგეჭკორი). **გ. კალანდია, რ. ფარცვანია, რ. წულაია (ზუგდიდი).** „ივერია“ (ხაშური) — „მადნეული“ (ბოლნისი). **გ. გაბისკირია, ო. გაგუა, ვ. ტოროსიანი (ხოხუმი).** „არმაზი“ (მცხეთა) — „კოლხეთი“ (ხობი). **თ. ლაცაბიძე, ბ. თოფურია, ი. კანდელაკი** (თბილისი). „მეშახტე“ (ტყიბული) — „დინამო“ (გაგრა). **ა. კოკაია, თ. კურტანიძე, ზ. ცინცაძე** (თბილისი). „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „შადრევანი“ (წყალტუბო). **გ. სეფიაშვილი, ა. მანუკიანი, დ. მენთეშაშვილი** (თბილისი).

II ჯგუფი

აღმოსავლეთის ქვეჯგუფი

„თრიალეთი“ (წალკა) — „თორი“ (ბორჯომი) 3:3, „ვარძია“ (ასპინძა) — „აბული“ (ახალქალაქი) 1:0, „ფოსტამტი“ (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი) 4:5, სსი (მუხრანი) — „სამგორი“ (გარდაბანი) 3:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „იმედი“ (თბილისი) 0:1.

დასავლეთი ქვეჯგუფი

„იმერეთი“ (წულუკიძე) —„ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) 1:1, „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) — ხდა (სამტრედია) 1:1, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ნარინჯი“ (ქობულეთი) 1:4, „მამისონი“ (ონი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 2:1, „დვაბზუ“ (მაბარაძე) — „მზიური“ (გალი) 1:0, „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) — „საირმე“ (შაიკოვსკი) 1:2, „კოლხეთი“-2 (ფოთი) — პოლიტექ. ინს. (ქუთაისი) 4:2.

III ჯგუფი

აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„თუშეთი“ (ქვემო ალვანი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 3:3, „განთიადი“ (დმანისი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 3:1, „კოლმეურნე“ (მარნეულის რ-ნი) — „მიონი“-35 (თბილისი) 3:2, „მარაბდა“ (კოდა) — „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) 1:0, „ქიზიყი“ (სიღნაღი) — „სინათლე“-სპორტ. ინტერნატი (თბილისი) 1:0.

ცენტრალური ქვეჯგუფი

„ორპირი“ (ოკრიბა) — „ქვემო ჭალა“ (კასპის რ-ნი) 7:0, „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი) — „მეშაქრე“ (აგარა) 4:1, „ფარავანა“ (ბოგდანოვკა) — „ცენტრმეტალურგმშენი“ (ზესტაფონი) 3:2, „მეავეჯე“ (ახალდაბა) — „იბერია“ (ქარელი) 3:2, „ბაგიათი“ (ჯავა) — „ჭოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) 1:1, „ავტომობილისტი“ (გორი) — „ზარზმა“ (ადიგენი) 2:0.

დასავლეთი ქვეჯგუფი

„ახალსოფელი“ (ზუგდიდის რ-ნი) — „ბეთლემი“ (ქედა) 0:3, „განთიადი“ (გაგრა) — „ზანა“ (აბაშა) 3:2.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 27 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სულორი“	21	16	4	1	35-10	36
„კოლხეთი“	21	15	3	3	49-26	33
„დინამო“	21	11	9	1	42-17	31
„შადრევ.“	21	10	6	5	34-27	26
„ამირანი“	21	10	4	7	35-21	24
„მადნეული“	21	9	6	6	37-33	24
„დინამო“ გ.	21	10	3	8	28-24	23
„სამეგრელო“	21	10	1	9	30-30	21
„საპოვნელა“	21	8	5	8	31-26	21
„მეშახტე“	21	7	6	8	18-25	20
„დურუჯი“	20	6	8	6	24-26	20
„მაღაროელი“	21	7	4	10	27-33	18
„სალხინო“	21	7	4	10	29-37	18
„მეტალურ.“	27	7	3	10	35-34	17
„სპარტაკი“	21	7	3	11	32-35	17
„ბახტრიონი“	21	6	5	10	24-34	17
„ქართლი“	21	6	5	10	24-36	17
„ივერია“	21	6	5	10	22-35	17
„ეგრისი“	21	5	6	10	21-35	16
„სქური“	21	5	4	12	25-38	14
„არმაზი“	21	4	5	12	24-36	13
ფიზ. ინ. თბ.	18	3	7	8	23-31	13

გათამაშების კალენდარი

I ჯგუფი

გთავაზობთ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის **აგვისტოს** კალენდარს I ჯგუფის გუნდებისთვის.

13 აგვისტო

XXIII ტური

„სულორი“ (ვანი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა), „კოლხეთი“ (ხობი) — „მეშახტე“ (ტყიბული), „დინამო“ (გაგრა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი), „სქური“ (წალენჯიხა) — „ბახტრიონი“ (ახმეტა), „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „დურუჯი“ (ყვარელი), „მადნეული“ (ბოლნისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი).

14 აგვისტო

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „არმაზი“ (მცხეთა), „ეგრისი“ (ცხაკაია) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ), „შადრევანი“ (წყალტუბო) — „ქართლი“ (გორის რ-ნი), „დინამო“ (ზუგდიდი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა), ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური).

XXIV ტური

20 აგვისტო

„ქართლი“ — „სალხინო“, „ივერია“ — „სპარტაკი“, „ბახტრიონი“ — „საპოვნელა“, „მეტალურგი“ — „მადნეული“, „სამეგრელო“ — „დინამო“ (ზუგდიდი), „ამირანი“ — „დინამო“ (გაგრა).

21 აგვისტო

„დურუჯი“ — „სულორი“, „არმაზი“ — „სქური“, „მეშახტე“ — ფიზკულტურის ინსტიტუტი, „კოლხეთი“ — „მაღაროელი“, „შადრევანი“ — „ეგრისი“.

XXV ტური

27 აგვისტო

„დინამო“ (გაგრა) — „საპოვნელა“, „სქური“ — „მადნეული“, „სალხინო“ — „დინამო“ (ზუგდიდი), „ქართლი“ — „დურუჯი“, „მეტალურგი“ — „მეშახტე“.

28 აგვისტო

„არმაზი“ — „სამეგრელო“, „ამირანი“ — „ივერია“, „შადრევანი“ — „ბახტრიონი“, „კოლხეთი“ — „სპარტაკი“, „ეგრისი“ — „სულორი“, ფიზკულტურის ინსტიტუტი — „მაღაროელი“.

ჩელენჯი - ჟურნალი

სოფიო. 19 წლამდე ასაკის კალათბურთელ გოგონათა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში მეორე გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა ნაკრებმა, რომელმაც ამჯერად ესპანეთის გუნდი დაამარცხა — 79:46. „ა“ ჯგუფში ორი გამარჯვება აქვთ ჩეხოსლოვაკიელებსაც (მეორე ტურში ისრაელის კოლექტივს სძლიეს — 107:60). „ბ“ ჯგუფში ლიდერობენ იუგოსლავიისა და იტალიის კალათბურთელები.

სტოკჰოლმი. დევისის თასის ნახევარფინალში ამ სპატიო პრიზის მფლობელმა შვეიცის გუნდმა საფრანგეთის ნაკრები დაამარცხა — 4:1. იმავე დღეებში დასავლეთ გერმანიის ჩოგბურთელებმა აჯობეს იუგოსლავიელებს — 5:0. ახლა გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან შვეიცისა და გფრ-ის გუნდები. უკვე ვიუწყებოდით, რომ მომავალი წლის ტურნირში სსრ კავშირის ნაკრები თექვსმეტ უძლიერეს შორის ითამაშებს. ეს უფლება მოიპოვეს, აგრეთვე, ავსტრიამ, აშშ-მ და ინდონეზიამ.

ოდესა. ა. ჩინილინის ხსოვნისადმი მიძღვნილ ფრენბურთელ ქალთა ტურნირში დაუმარცხებლად იბრძვის მხოლოდ ჩინეთის ნაკრები. ამ კოლექტივმა ბოლოსწინა დღეს კუბის გუნდი დაამარცხა — 3:1. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა შედარებით ადვილად სძლია მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორს პერუს გუნდს — 3:1.

ოლიმპიური მოზაიკა

● **სეულში** — მომავალი ოლიმპიური თამაშების ქალაქში—გამოცხადდა „სისუფთავისა და წესრიგის“ ერთწლიური. ამ კომპანიას ხელმძღვანელობს ადგილობრივი ეკოლოგიური ცენტრი და პოლიცია. როგორც ქალაქის პოლიციის შეფმა განაცხადა, დამნაშავეს, ვინც უნდა იყოს იგი, დიდი ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწევს. განსაკუთრებით მკაცრად დაისჯებიან ურჩი მძღოლები და ქვეითად მოსიარულენი.

● **თამაშების** საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა ოლიმპიური ფოტოკონკურსი, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მოყვარულსა და პროფესიონალს, სპეციალური ჟიური შეარჩევს 61 საუკეთესო ნამუშევარს, რომლითაც გაფორმდება შეჯიბრებათა ოფიციალური ანგარიში. თერმომეტი საუკეთესო ფოტო გამოიფინება ოლიმპიურ ფოტოგამოფენაზე, რომლის გახსნა დეკემბრისთვისაა ნავარაუდევი და რომელიც 1989 წლის 21 თებერვლამდე იმუშავებს.

● **ცურვის** ინგლისელი სპეციალისტები 23 წლის ენდი ჯეიმსონს ახლავე უგეგმავენ ოლიმპიურ ოქროს მედალს. რაზეა დაფუძნებული ეს რწმენა და ენთუზიაზმი? პირველ ყოვლისა, იმაზე, რომ ბოლო დროს ჯეიმსონმა დაამარცხა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მიჰაელ გროსი (გფრ), კიდევ იმაზე, რომ ამ ნიჭიერმა სპორტსმენმა სტრასბურგში ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიპოვა და 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში სეზონის საუკეთესო შედეგი (53,57) აჩვენა.

ციხეფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 27 ივლისი. დილის ტანვარჯიში—**9.00 (2)**; კალათბურთელთა საერთაშორისო შეხვედრა: სსრ კავშირი (ნაკრები) — „ატლანტა ჰოუქსი“ (აშშ). გადაცემა ვილნიუსიდან — **19.55 (2)**.

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა

გათამაშების ცხრილი

IX ზონა

მდგომარეობა 27 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სოკოლი“	14	10	3	1	35-15	23
„ტორპედო“ ქ.	13	10	2	1	28-10	22
„მეტალურგი“	14	10	1	3	32-16	21
„ატომმაში“	15	7	3	5	24-15	17
„შევარ.“-სპი	15	7	3	5	25-23	17
„ქიაფაზი“	12	7	1	4	27-12	15
„თერგი“	14	7	1	6	23-18	15
„დილა“	13	7	1	5	25-25	15
„ტექსტილშ.“	14	5	4	5	17-13	14
„დინამო“	13	6	1	6	20-19	13
„გოიაზანი“	12	4	3	5	16-17	11
„ლოკ.“ (მ. წ.)	14	3	4	7	16-24	10
„ხაზარი“	11	3	2	6	10-20	8
„ტორპ.“ ვ.	15	3	1	11	13-29	7
„ლოკ.“-ომც	15	2	1	12	16-42	5
„ბაკინეცი“	12	1	1	10	5-34	3

გათამაშების ცხრილი

III ზონა

მდგომარეობა 27 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტ.“ ოქ.	19	12	2	5	34-22	26
„ტორპედო“	19	11	2	6	32-20	24
„სპარტ.“ ნჩ.	19	10	3	6	29-20	23
„ცემენტი“	17	8	6	3	23-16	22
„დინამო“ ს.	19	9	3	7	21-18	21
„კოლხეთი“	19	9	3	7	21-21	21
„სპარტ.“ ტმ.	19	10	0	9	28-32	20
„მერცხ.“	19	9	2	8	23-22	20
„ლოკომ.“	18	8	4	6	23-17	20
„ლორი“	17	8	2	7	23-26	18
„დრუჟბა“	19	7	3	9	22-18	17
„ლუჩი“	19	7	3	9	23-23	17
„ისკრა“	19	7	3	9	20-35	17
„მეტალურ.“	17	7	2	8	28-19	16
„ურალანი“	19	6	4	9	28-27	16
„ვოლგარი“	19	7	1	11	17-26	15
„ნარტი“	19	5	5	9	26-31	15
„მაშუკი“	19	4	7	8	16-22	15
„ოლიმპია“	18	5	4	9	15-30	14
„სპარტ.“ ან.	18	6	1	11	20-28	13

უცხოეთის ამბები

ფიფა-ს ახალი წევრები

ციურიხში გაიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მორიგი კონგრესი. მან ფიფა-ს წევრებად მიიღო 7 ახალი სახელმწიფო: არიბა, სან ლუჩია, სენტ-ვინსენტ-გრენადა, ვანუატუ, სოლომონის კუნძულები, ფაერერის კუნძულები და სან-მარინო. გარდა ამისა, ფიფა-ს წევრად აღდგენილია ჩადი, რომლის ფედერაცია გარიცხული იყო შესატანი თანხის გადაუხდელობის გამო.

ფიფა-ს წევრთა რაოდენობამ ახლა 166-ს მიაღწია.

საფრანგეთი: 3 ქულა მოგებისათვის

საფრანგეთის 1988-89 წლის საფეხბურთო ჩემპიონატში, წინა წლებთან შედარებით, ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაა: ამიერიდან გუნდებს მოგებისათვის 3 ქულა ეწერება, ფრე კი, ძველებურად, მხოლოდ ქულას იძლევა.

11-მეტრიანებს მიმართავენ

იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ქვეყნის 1988-89 წლების ჩემპიონატში ფრედ დამთავრებული მატჩები აღარ იქნება. თუ 90 წუთი გამარჯვებულს ვერ გამოავლენს, დაინიშნება 11-მეტრიანი დარტყმების სერია. 90-წუთიან მატჩში გამარჯვების შემთხვევაში გუნდს 2 ქულა ერიცხება, პენალტებით გამარჯვებისთვის—ერთი. არის ერთი ცვლილებაც: პირველი (ჩვენებურად, უმაღლესი) ლიგის გუნდმა ყოველ მატჩში უნდა გამოიყვანოს ერთი ფეხბურთელი მაინც, რომელსაც 21 წელი არ შესრულებია.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05462